



2019 წლის ანგარიში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის, სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების მიერ გაცემული საჯარო ინფორმაციის თაობაზე

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე შემოვიდა 80 (ოთხმოცი) განცხადება. სამინისტროს მიერ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად 69 (სამოცდაცხრა) განცხადებაზე გაცემულ იქნა საჯარო ინფორმაცია, 6 (ექვსი) განცხადებაზე ინფორმაცია არ გაცემულა, ხოლო შესრულების პროცესშია 5 (ხუთი) განცხადება. საჯარო ინფორმაციაში შესწორების მოთხოვნის შესახებ ფიქსირდება 1 (ერთი) განცხადება. საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით ფიქსირდება 1 (ერთი) ადმინისტრაციული საჩივარი. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში, საქართველოს ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევის გამო, პასუხისმგებელი პირებისთვის დისციპლინური სახდელი არ დადებულა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე შემოვიდა 6 (ექვსი) განცხადება. სახაზინო სამსახურის მიერ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად 5 (ხუთი) განცხადებაზე გაცემულ იქნა მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია, ხოლო შესრულების პროცესშია 1 (ერთი) განცხადება. სახაზინო სამსახურში საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ, ადმინისტრაციული საჩივარი არ შემოსულა. საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის შესახებ, მოთხოვნა არ დაფიქსირებულა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე შემოვიდა 9 (ცხრა) განცხადება. საგამოძიებო სამსახურის მიერ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ყველა მათგანზე განხორციელდა რეაგირება და გაცემულ იქნა საჯარო ინფორმაცია.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე შემოვიდა 9 (ცხრა) განცხადება. სამსახურის მიერ მოქმედი





კანონმდებლობის შესაბამისად ყველა მათგანზე განხორციელდა რეაგირება და გაცემულ იქნა საჯარო ინფორმაცია. სამსახურის მიერ არ მიღებულია გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის თაობაზე.

საჯარო სამართლის იურიდიულ პირი - ფინანსთა სამინისტროს აკადემია

სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემიაში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე შემოვიდა 12 (თორმეტი) განცხადება. აკადემიის მიერ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ყველა მათგანზე განხორციელდა რეაგირება და გაცემულ იქნა საჯარო ინფორმაცია.

საჯარო სამართლის იურიდიულ პირი - საფინანსო - ანალიტიკურ სამსახური

სსიპ - საფინანსო ანალიტიკურ სამსახურში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე შემოვიდა 2 (ორი) განცხადება. საფინანსო - ანალიტიკური სამსახურის მიერ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ყველა მათგანზე განხორციელდა რეაგირება და გაცემულ იქნა საჯარო ინფორმაცია.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო

სსიპ - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე შემოვიდა 48 (ორმოცდარვა) განცხადება. სააგენტოს მიერ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, 42 (ორმოცდაორი) განცხადებაზე გაიცა საჯარო ინფორმაცია. 1 (ერთი) შემთხვევაში განმცხადებელს უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, რადგან მოთხოვნილი ინფორმაცია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მიეკუთვნებოდა პერსონალურ მონაცემთა კატეგორიას. 5 (ხუთი) შემთხვევაში განცხადება, საქართველოს ზოგად იადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის შესაბამისად, გადაეზავნა შესაბამის უფლებამოსილ ორგანოს. მომსახურების სააგენტოში საქართველოს ზოგად იადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევის გამო, პასუხისმგებელი პირებისთვის დისციპლინური სახდელი არ დადებულა.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შემოსავლების სამსახური

სსიპ - შემოსავლების სამსახურში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე შემოვიდა 2330 (ორიათას სამას ოცდაათი) განცხადება. შემოსავლების სამსახურის მიერ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, 1704 (ათას შვიდას ოთხი) განცხადებაზე გაცემულ იქნა საჯარო ინფორმაცია, ხოლო ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 227 (ორას შვიდი) განცხადება. შემოსავლების სამსახურში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 399 (სამას





ოთხმოცდაცხრამეტი) განცხადებასთან დაკავშირებით. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გასაჩივრებული იქნა 1 (ერთი) გადაწყვეტილება, რომელიც განიხილება თბილისის საქალაქო სასამართლოში.

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილებები მიღებულ იქნა შემდეგი საჯარო მოხელეების მიერ:

- ✓ ბექა ჩხაიძე - საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი);
- ✓ ცოტნე ყავლაშვილი - სახაზინო სამსახურის უფროსი;
- ✓ ანა ლურსმანაშვილი - საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური).
- ✓ ნათია გლოველი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური).
- ✓ ლევან წითელაშვილი - სსიპ - შემოსავლების სამსახურის იურდიული დეპარტამენტის უფროსი;
- ✓ ლანა პირტახია - საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი (სსიპ- ფინანსთა სამინისტროს აკადემია).
- ✓ ლევან ბაიდოშვილი - საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი (სსიპ - საფინანსო-ანალიტიკური სამსახური).
- ✓ ნელი ბაინდუროვი - საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი (სსიპ-საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო).

